ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 3-398133/07

"17." 02. 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი დიდუბე, რაფაელ აგლაძის ქუჩა №87–ში (საკ. კოდი №01.13.04.018.041) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მშენებარე მრავალფუნქციური კომპლექსი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2604696 25.05.2016წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი დიდუბე, რაფაელ აგლაძის ქუჩა №87–ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„1-5" ფასადი: +0.00 ნიშნულზე „3-4" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ლითონის მოაჯირი, იგივე მონაკვეთში საკონტროლაციო ღიობებში დამატებით მოწყობილია ლითონის ცხაური. „4-5" მონაკვეთში +0.00 ნიშნულზე გაზრდილია ღიობის სიმაღლე. +35.40 ნიშნულზე „2-3" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ლითონის ცხაური. „1-3" მონაკვეთში +7.50 ნიშნულზე და +34.50 ნიშნულებზე პარაპეტზე დამატებით მოწყობილია საცრემლეები.

„1-5" ფასადი: „5-1" მონაკვეთში +0.00 ნიშნულზე კაპიტალურ კედლებზე გაუქმებულია დეკორატიული ელემენტები. იგივე ნიშნულზე და მონაკვეთში გაზრდილია ვიტრაჟის სიმაღლე. „5-4" მონაკვეთში +4.20 ნიშნულზე შეცვლილია აივნის ძირის ღებვის ფერი. +20.70 ნიშნულზე იგივე მონაკვეთში აივნის გადახურვაზე დამატებით მოწყობილია თუნუქის გადახურვა.

„ა-კ" ფასადი: -2.90 ნიშნულზე „დ-ე" მონაკვეთში არ რის მოწყობილი კარი. იგივე მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ამწე დანადგარი. +30.60 ნიშნულზე „5" ღერძზე დამატებით მოწყობილია არმატურის ნაშვერები. იგივე ნიშნულის ზევით პარაპეტებზე დამატებით მოწყობილია თუნუქის ფურცლები. „თ-ი" მონაკვეთში +33.90 ნიშნულზე დამტებით მოწყობილია სავენტილაციო შახტა.

„კ-ა" ფასადი: „კ-ა" მონაკვეთში +0.00 ნიშნულზე კაპიტალურ კედლებზე გაუქმებულია დეკორატიული ელემენტები. იგივე ნიშნულზე და მონაკვეთში გაზრდილია ვიტრაჟის სიმაღლე. „4-3" მონაკვეთში დამატებით განთავსებულია სარეკლამო ბანერა. +4.20 ნიშნულზე „3-2" მონაკვეთში აივნის მოაჯირზე დამატებით განთავსებულია მსუბუქი გაუმჭვირვალე მასალა. +24.00 ნიშნულზე „4-3" მონაკვეთში აივნის გადახურვაზე დამატებით მოწყობილია თუნუქის გადახურვა. +30.60 ნიშნულის ზევით პარაპეტებზე დამატებით მოწყობილია თუნუქის ფურცლები.

გეგმების მიხედვით: -2.90 ნიშნულზე „დ-ე" მონაკვეთში „3" ღერძზე გაზრდილია კარის ღიობის სიგანე. იგივე მონაკვეთებში შესასვლელთან დამატებით მოწყობილია ცხაური.

„3-5" და „დ-ზ" მონაკვეთებს შორის შეცვლილია პანდუსის კედლების ფორმა და მდებარეობა.

±0.00 ნიშნულზე „ბ-ა" მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟის სიგანე.

„ა-ბ" მონაკვეში შემცირებულია ღიობის სიმაღლე.

შემცირებულია ლიფტში შესასვლელი კარის სიგანე. „3-4" მონაკვეთში „ზ" ღერძზე შემცირებულია ფანჯრის სიმაღლე. იგივე მონაკვეთში „ე" ღერძთან შემცირებულია ლითონის მოაჯირის სიგანე. „ზ-თ" მონაკვეთში შემცირებულია პანდუსის სიგრძე.

+24.00 ნიშნულზე „4-5" მონაკვეთში ღიობში არ არის მოწყობილი მინა.

+30.60 ნიშნულზე „ე-ზ" მონაკვეთში „5" ღერძზე შემცირებულია კედლის სიმაღლე.

+33.90 ნიშნულზე ნაწილობრივ შეცვლილია კარ-ფანჯრის გაბარიტები, ასევე გაზრდილია სართულის სიმაღლე და გადახურვის ტიპი კერძოდ: მონოლითურის ნაცვლადა მოწყობილია ხის კონსტრუქცია.

ფასადებზე დამატებით მოწყობილია კონდენციონერები, სატელიტური ანტენები, და გამწოვი მილები, ასევე ნაწილობრივ შეცვლილია კარ-ფანჯრების ნახატები, ხოლო წყალშემკრებ მილებს ნაწილობრივ შეცვლილი აქვს მდებარეობა და შეცვლილია მათი რაოდენობა.
„ზ-თ" მოანკვეთში ნაწილობრივ შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა.
პროექტში არ არის გამოყოფილი მონოლითური და შემავსებელი ბლოკის კედლების ფაქტურა ან ფერი.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შ.პ.ს. "GREEN LINE COMPANY"-ს, ქ. თბილისში, სექტორი დიდუბე, რაფაელ აგლაძის ქუჩა №87–ში (საკ. კოდი №01.13.04.018.041) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მშენებარე მრავალფუნქციური კომპლექსი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №398133/07 04.11.2016წ. განცხადება.
№წ-338133/07 09.11.2016წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე

[illegible] 1. [illegible] 2017 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-01171653688**

თარიღი: **14.06.2017**

ადრესატი:
ნოდარ მინაძე
პირადი ნომერი: 01030022921
მისამართი: თბილისი გ.ჩუბინაშვილის ქ. N 43

ბატონო ნოდარ,

ქ. თბილისის მუნციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი N19/01171002401-17 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი დიდუბე, რაფაელ აგლაძის ქუჩა N87-ში (საკ. კოდი N01.13.04.018.041) მდებარე ობიექტის (მშენებარე მრავალფუნქციური კომპლექსი) გადამოწმებით დადგინდა, რომ სამსახურის Nბ-398133/07 ბრძანებაში მითითებული დარღვევა ,,ა-კ" ფასადი: ,,დ-ე" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ამწე დანადგარი" გამოსწორებულია. დამატებით გაცნობებთ, რომ შემცირებულია ლიფტში შესასვლელი კარის სიმაღლე და ,,ზ-თ" მონაკვეთში გაზრდილია პანდუსის სიგრძე, რაც არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური -
სამსახურის უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-01171841885**

თარიღი: **03.07.2017**

ადრესატი:
შპს GREEN LINE COMPANY
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404385768
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, გ. ჩუბინაშვილის ქ., N43

ბატონო ნოდარ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ თქვენს N19/01171002401-17 განცხადებაზე გამოგზავნილ N17-01171653688 წერილში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ ნაცვლად ,,შემცირებულია ლიფტში შესასვლელი კარის სიგანისა'' მითითებულ იქნა ,,შემცირებულია ლიფტში შესასვლელი კარის სიმაღლე''. სამსახურმა იმსჯელა ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის შედეგად გადაწყვიტა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად, გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის N17-01171653688 წერილში და მიეთითოს: ,,შემცირებულია ლიფტში შესასვლელი კარის სიგანე''.

წინამდებარე წერილი განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის N17-01171653688 წერილთან.

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური -
სამსახურის უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-01172913203**

თარიღი: **18.10.2017**

ადრესატი:
ნოდარ მინაძე
პირადი ნომერი: 01030022921
მისამართი: თევდორე მღვდლის ქ. N 51

ბატონო ნოდარ,

სამსახურში შემოსული თქვენი N19/01172911707-17 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი დიდუბე, რაფაელ აგლაძის ქუჩა N87–ში (საკ. კოდი N01.13.04.018.041) მდებარე ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსი) გადამოწმებით დადგინდა, რომ Nბ-398133/07 ბრძანებაში მითითებული ერთ-ერთი დარღვევა ,,+33.90 ნიშნულზე გაზრდილია სართულის სიმაღლე" გამოსწორებულია, მაგრამ მონოლითური ფილის ნაცვლად მოწყობილია თაბაშირ-მუყაოს ფილა.

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური -
სამსახურის უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე